საქართველოს მთავრობის
დადგენილება №323
2011 წლის 15 აგვისტო ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული ანაზღაურებადი სამუშაოების (მომსახურების) სახელშეკრულებო საფასურების განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლისა და „სტანდარტიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 18^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ განხორციელებული ანაზღაურებადი სამუშაოების (მომსახურების) სახელშეკრულებო საფასურების განსაზღვრის მიზნით, დამტკიცდეს თანდართული:

ა) სააგენტოს სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტების დეპარტამენტის მომსახურების საფასურები (დანართი №1);

ბ) სააგენტოს მეტროლოგიური სამუშაოების საფასურის განსაზღვრის წესი (დანართი №2);

გ) სააგენტოს მეტროლოგიური სამუშაოების საფასურების ჩამონათვალი (დანართი №3).

მუხლი 2. სააგენტოს მიერ განსახორციელებელი მეტროლოგიური მომსახურების საფასური ამ დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დანართში მოცემული ფორმულით გამოიანგარიშება იმ შემთხვევაში, თუ მომსახურებისათვის საფასური არ არის განსაზღვრული ამავე დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ჩამონათვალში.

მუხლი 3. ეს დადგენილება არ ვრცელდება სააგენტოს მიერ საქართველოს სამინისტროებისათვის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრების აპარატებისათვის, საქართველოს პარლამენტისათვის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის, საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისათვის, საქართველოს კონტროლის პალატისათვის, სასამართლო ხელისუფლების ორგანოებისათვის, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებისათვის საქართველოს სტანდარტისა და საქართველოს ეროვნული სტანდარტის მიწოდების შემთხვევებზე.

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი *ნიკა გილაური*

დანართი №1

სააგენტოს სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტების დეპარტამენტის მომსახურების საფასურები

სტანდარტების რეგისტრაციის საფასური

ცხრილი №1

მომსახურების დასახელება	**საფასური დღგ-ის ჩათვლით (ლარი)**
მეწარმე სუბიექტის სტანდარტის (მსტ) რეგისტრაცია	350
მეწარმე სუბიექტის სტანდარტის (მსტ) ცვლილების რეგისტრაცია	150
საქართველოს ეროვნული სტანდარტის შემუშავება (სესტ)	4000
საქართველოს ეროვნული სტანდარტის ან მისი ცვლილების რეგისტრაცია	500
თავფურცლის თარგმნის მეთოდით საერთაშორისო, რეგიონალური და სხვა ქვეყნის სტანდარტების, ასევე სხვა ნორმატიული დოკუმენტების რეგისტრაცია საქართველოს სტანდარტად (სსტ)	100

სტანდარტების საფასური

ცხრილი №2

დოკუმენტის დასახელება	**გვერდების რაოდენობა (დოკუმენტის ორიგინალის მიხედვით)**	**საფასური დღგ-ის ჩათვლით (ლარი)**

საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო, რეგიონალური, სხვა ქვეყნის სტანდარტი ან საქართველოს ეროვნული სტანდარტი (მათ შორის, გოსტი)	2-მდე	22
	4-მდე	24
	6-მდე	26
	8-მდე	28
	12-მდე	31
	16-მდე	34
	20-მდე	37
	25-მდე	41
	30-მდე	45
	40-მდე	51
	50-მდე	57
	60-მდე	63
	70-მდე	69
	80-მდე	75
	100-მდე	83
	120-მდე	91
	150-მდე	101
	180-მდე	111
	210-მდე	121
	250-მდე	131
	300-მდე	141
	375-მდე	153
	450-მდე	165
	550-მდე	180
	650-მდე	195
	800-მდე	210
	1000-მდე	220
	1200-მდე	240
	1500-მდე	260
	1500-ზე მეტი	280